№ 160
ივლისის 30, სამშაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 160
ივლისის 30, სამშაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი

„ი ვ ე რ ი ა“

ღირს **ხუთი მანეთი** და **ათი შაური** (5 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ.,ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

ნ. ვ. აზრაამიანისა

(იხილე მე-4 გვერდზე) (25—379—9)

ქუთაისში ბ. ნ. წერეთლის წიგნის მაღაზიაში

(საკრებულო ტაძრის პირდაპირ)

დღეიდგან ისყიდება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის **აბრეშუმის ქსოვილები ფას-დაკლებით** 25%-ამდე (**ცხვირ-სახოცები, ყელსახვევები (შარფები) ქალთა და კაცთა საცვანისამოსე დარაიები, ფერადი, თეთრი და სხვა**).

მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამხანაგობის ქსოვილები ბევრად უკეთესია ქარხნის ნაწარმოებზედ თავის გამძლეობით (სიმტკიცით), ვინაიდგან:

1, ამხანაგობის ქსოვილები არის დამზადებული ნამდვილ აბრეშუმის ძაფისაგან.

2, ძაფი არის ხელით ნაკეთები და სხვილი.

ზემო აღნიშნული ღირსებები ამხანაგობის ქსოვილებისა არიან მიზეზი მისი სიძვირისა; ახლა, როდესაც ამხანაგობა ერთად-ერთ ნაკლს თავის ქსოვილებისას,—სიძვირეს—სპობს **ფასის დაკლებით**, ვიმედოვნებთ, პატივცემული საზოგადოება დაეშურება ამხანაგობის ქსოვილების ყიდვას.

ამხანაგობის გამგეობის) თავმჯდომარე პ. მდივანი
) წევრი ვ. კიწმარიშვილი
ამხანაგობის გამგე **ნ. წერეთელი**

(10—6.—4)

ქ ა ლ ე ბ ი ს

პროგიმნაზია

ელენე ბახტაძისა

დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ, პირველ, მეორე, მესამე და აგრეთვე წელს გახსნილ **მეოთხე** პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდამ და გაგრძელდება მთელის წლის განმავლობაში.

თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის **ელენე ბახტაძის** სახელობაზე.

სწავლის საფასური, როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში, 30 მანეთია წელიწადში.

(3—391—2)

ყოვლად-სამღვდელო დიმიტრის, ალავერდის ეპისკოპოსის, განკარგულებისამებრ

საეკლესიო მუზეუმი ქართველ სამღვდელოებისა

ღ ი ა ა

სამშაბათ-ხუთშაბათობით 9—11 ს.
და კვირაობით 10—1 ს.

ვისაც ჰსურს მუზეუმის დათვალიერება სხვა დღეს, კეთილ ინებონ მიჰმართონ მისს გამგეს მ. გ. ჯანაშვილს (კუკია, მინკვიცევის ქ., № 27).
(10—388—7)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

ქართველ ქალთა

ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ ს ა კ ე რ ა ვ ს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჭკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა. № 12

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ ბედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 სათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათ, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ზრ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ტფილისი, 30 ივლისს.

ქალაქების და მოქალაქეთა ცხოვრებამ დღეს ისე გაიტაცა საზოგადო მოღვაწე, რომ სოფელი სრულებით დავიწყებულია და მასზე არავინ ზრუნავს. სხვა-და-სხვა საკრედიტო დაწესებულებანი, ბევრგვარი საფილანტროპო, საკომერციო და სამეცნიერო საზოგადოებანი, სწავლა-განათლების ათასგვარი ფაქტორები და საზოგადოდ ყველა ის, რაც ქალაქის ცხოვრების დამახასიათებელმა თვისებამ გამოიწვია, ისე აიყოლიებს ხოლმე კაცს, მისს მხნეობას და მოქმედებას, რომ ზემოხსენებული მოვლენა რაღაც გადამდებ სენათ გადაექცა ამ საუკუნეს. ეჭვს გარეშეა, რომ მარტო ქალაქებზე ზრუნვა და სოფლის მიტოვება ეხლანდელ ინტელიგენციის წინდაუხედველობას და მის შეცდომას გვიმტკიცებს. ის არა სანატრელი მდგომარეობა, რომელშიაც არის ჩავარდნილი დღეს სოფელი დიდად მავნებელია საზოგადოების პროგრესისათვის და უბედურობას უქადის მომავალში საზოგადო ცხოვრებას. თუ ეს მართალია ყოველის ერისათვის, ჩვენთვის ხომ ისეთ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს, რომლის წინაამდეგობა ცოდვაც-კი არის. ბურების არ იყოს, ჩვენი ერი მეურნეობით ცოცხლობს. ცოცხლობს ვამბობთ იმიტომ, რომ მეურნეობასთან შეკავშირებულია ჩვენი ერის მარტო მატერიალური ძალ-ღონე-კი არა, არამედ სულიერი და ზნეობრივი მხარეც. ჩვენი გუთანი და ურემი წარმოადგენს იმ ცენტრს, რომელიც ერთის მხრივ ჰბადავს, ხოლო მეორეს მხრივ ჰკრეფს და ინახავს ყველა იმას, რაშიაც გამოისახება ჩვენის ერის განსაკუთრებული და დამახასიათებელი თვისება. ცხადია, რომ ჩვენის ერის სიცოცხლე და მისი მომავალი დამოკიდებულია სოფლის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. როცა ჩვენი მეურნეობა და სოფლის ცხოვრება ჩადგება სანატრელს კვალში, მაშინ მხოლოდ გამაგრდება ჩვენი ერი იმდენად, რომ ბურებსავით უვნებელი შეიქმნება ყოველგვარ ვაჭრებისაგან და მძარცვავ-მგლეჯელებისაგან.

იმ უბედურ მდგომარეობისაგან გამოსვლისათვის, რომელშიაც არის დღეს ჩავარდნილი ჩვენი სოფელი, საჭიროა დიდი შრომა და ხანი. რომელიც გინდა მხარე აიღო სოფლელის საზოგადო ცხოვრებისა: სწავლა-განათლება, ცოდნა და ცოდნის გამოყენება, ყოფა-ქცევა, ხასიათი და რწმენა, მოწყობა და ცხოვრების მომართვა, წესრიგი და ერთმანეთთან დამოკიდებულება,—ყველა ეს საჭიროებს არამც თუ გაუმჯობესებას, არამედ ახლად მოწყობას და მორიგებას. ცხადია, ყველა ამ საჭიროებათა საჩქაროდ და ერთბაშად დაკმაყოფილება შეუძლებელია. ჩვენი ცხოვრების ევოლიუციის კანონები მოითხოვს ამ საქმეში დამშვიდებულის და აუჩქარებელის ნაბიჯით წინსვლას და ჰარმონიულად გაუმჯობესებას ცხოვრებისას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ამ მოთხოვნილებათა იმგვარია, რომ, თუ ეხლავე და რაც შეიძლება მალე, არ მივეშველეთ და არ ვუწამლეთ, ისეთ უფსკრულში ჩააგდებს ჩვენს ერს, რომლიდგანაც შემდეგში მისი ნათელზე გამოყვანა, თუ შეუძლებელი არა, მეტად ძნელი შეიქნება. ვისაც კარგად ჰყავს დღეს ჩვენი სოფლელი გაცნობილი, შეამჩნევდა, რომ მისს ხასიათში დიდი ცვლილება მოხდა შედარებით წინანდელ გლეხობასთან. ჩვენები წინად განთქმულნი იყვნენ თავიანთ უშიშრობით და გამბედაობით და ეს თვისება, პატიოსნებით და სიმარჯვით შეზავებული, უტყუვარს ნიშანს წარმოადგენდა მის წარმატებისა და დღეგრძელობისას. ხოლო დღეს ჩვენს სოფლელს შემოეპარა შიში და თუმცა ეს საშინლად დამაქვეითებელი და დამღუპველი ზნე ჯერჯეროპით ისე შესამჩნევლად არ არის გავრცელებული, მაგრამ თუ იმ მდგომარეობამ, რომლისაგანაც არის ეს გამოწვეული, კიდევ გასტანა, ჩვენი ერი საშინლად დაეცემა. მიზეზი ამ უბედურ ზნისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს გლეხს არა აქვს შეგნებული თავისი უფლებანი და არ ესმის მისთვის სავალდებულო კანონმდებლობა.

ყველას კარგად ეცოდინება, რომ იმ აუარებელ კანონთა გარდა, რომელიც რუსეთშია და ყველა ქვეშევრდომთათვის სავალდებულოა, ყოველ დღე კიდევ გამოდის ამა თუ იმ გამგე მოხელეთაგან სავალდებულო განკარგულებანი. ვინ დაეძებს იმას, რომ ჩვენმა სოფლელმა არ იცის უწინდელი რუსული კანონმდებლობა; იმას არავინ ატყობინებს იმ კანონებს და განკარგულებებსაც-კი, რომლებიც ახლად გამოდის. მართალია, ამ მხრივ რუსული სოფლის მდგომარეობაც ამგვარივეა, მაგრამ რუსს შეუძლიან მაინც წაიკითხოს, თუ კითხვა იცის, გამოქვეყნებული კანონი ან განკარგულება. ჩვენს გლეხს-კი, რომელმაც თავის ენაზე კითხვა კარგად იცის, ესეც-კი არ შეუძლიან. ამ ანორმალურმა მდგომარეობამ გამოიწვია ის საოცარი ყოფა, რომელმაც გლეხი შიშში ჩააგდო. რაკი რუსული კანონები მას არ ესმის, ჰგონია, რომ ყოველი მოხელის მოქმედება კანონიერიაო. მოაქვს, მაგალითად, გლეხს ქალაქში შეშა და პირველი „გოროდოვოი“, რომელიც დაჰხვდება მას, წაჰკრავს კისერში. მეურმეს ჰგონია, რომ რუსული კანონი ამის ნებას აძლევსო და ჩუმათ არის. მამასახლისი ქრთამს გამოართმევს და იმას ჰგონია, ამასაც კანონი მოითხოვსო. წაართმევს ვიღაც ქალაქიდგან გადმობრძანებული ეშმაკი მას მიწას და ისიც მიდის სუდში საჩივლელად, ხოლო თავის უცოდინარობის გამო აგებს საქმეს და ბრუნდება უკან დაჯერებული, რომ სერთუკიანს ნება აქვს კანონის ძალით მე მიწა წამართოსო. ყველა ეს აჯერებს გლეხს, რომ მას არაფერი უფლებები არა აქვს, ხოლო იმ სხვებს-კი, ვინც მოხელეა ან სერთუკში გამობრწყინვებული, ყველაფრის უფლება აქვს მინიჭებულიო. დაჯერებული ამაში, გლეხი ჰკარგავს ყველაფერზე და თავის თავზედაც იმედს, ეთანხმება ყოველგვარ უსამართლობას და, თუმცა ჰხედავს, რომ მისი ცარცვა-გლეჯა, ცემა-ტყეპა, დამცირება და შეურაცხყოფა უსამართლობა არის, მაგრამ ეშინიან ამის წინააღმდეგ ხმა ამოიღოს და ეთანხმება ამღენ უსამართლობას. ეს გარემოება, მეტადრე ჩვენის ერისათვის, შიშის დამბადებელია და შიში ხომ თავის მხრივ უმთავრესი მიზეზია დაქვეითებისა და ზნე დაცემულობისა. ადვილად მისახვდომია, რომ ეს მოვლენა მოითხოვს, რაც შეიძლება, საჩქარო მკურნალობას. საჭიროა, ეხლავე გამოვძებნოთ ის საღსარი, რომლითაც შესაძლებელია გლეხს ვაცნობოთ, რა უფლებები აქვს მას კანონების ძალით. ხოლო, რასაკვირველია, ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა ჩვენს სოფლებს გავუჩინოთ ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლება ამ დიდის საქმის ასრულება. და ამისთანა კაცად-კი ჩვენ მიგვაჩნია შეგნებული და ერის გულშემატკივარი იურისტი. გულით და სულით ვისურვებთ, რომ ყოველმა სოფელმა იყოლიოს თავის სოფლის ვექილად გამოცდილი იურისტი.

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის წარმომადგენელი და მიმართა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში, რათა მან დახმარება აღმოუჩინოს კავკასიის სამეურნეო სხვა-და-სხვა დარგის შესწავლაში.

✦ მკითხველებს იქნება ახსოვდეთ, რომ ქალაქის გამგეობამ ამ ცხრა ათის წლის წინად აღძრა საჩივარი თამამშევების წინააღმდეგ იმის შესახებ, რომ ერევნის მოედანზედ, მათს ქარვასლას აქეთ-იქით კუთხეებში მიშენებული დუქნები ქალაქის მამულზეა აგებულიო; მიუხედავად გამგეობის ამისთანა დადგენილებისა, გამგეობას ჯერაც არ მოუხდენია განკარგულება, რომ თამამშევები პასუხისგებაში იქმნან მიცემულნი. ამიტომ გამგეობის წევრს ბ-ნ ნ. პ. კოკჩაევს შეუტანია განცხადება ქალაქის გამგეობაში და ითხოვს: რადგანაც მომავალ წლის ივნისში გაუვა 10 წლის ვადა ქალაქს ამ ადგილების მფლობელობისა, ამიტომ ახლავე მოახდინოს განკარგულება გამგეობამ, რომ ამ ათის წლის წინად გამგეობის დადგენილება აღსრულებაში იქმნას მოსულიო.

✦ ამ დღეებში ბორჩალოს მაზრისკენ გაემგზავრება მიწათ-მოქმედების პარტია, რომელთაც დავალებული აქვთ კუთვნილებისამებრ დაუყონ მიწა სახელმწიფო გლეხებს.

✦ გუშინ მოხდა გამოცდა კავკასიის სააბრეშუმო სადგურში იმ პირებისა, რომლებმაც მოისმინეს კურსი ლექციებისა აბრეშუმის კეთებაზედ.

✦ ქალაქის წყლის უფროსმა ზედამხედველმა ბ. ქურდიანმა მის მიერ ახლად წარდგენილ პროექტში ქუჩების მორწყვის შესახებ, სხვათა შორის, სთხოვა გამგეობას, გამართოს 93 ბოჭკა, რომლებითაც მოირწყვის არამც თუ უმთავრესი ქუჩები, არამედ ისეთი მივარდნილი ადგილებიც, როგორიც არის მამა-დავითის მთის მიდამო, ნიკოლოოზისა, ელისაბედისა, ვერის ქუჩები და სხ.

✦ „ცნობის-ფურცლის“ რედაქტორად დამტკიცებულ იქმნა ალექსანდრე ჯაბადარი.

✦ კრწანისისა და ნავთლუღის მემამულეთ სათანადო მთავრობისაგან ითხოვეს ნება-რთვა გამართონ საკუთარი წყლის-ამომზიდავი მანქანა ბაღ-ვენახების სარწყავად მტკვრის წყლით.

✦ საგუბერნიო სამოქალაქო უწყების დადგენილების ძალით ქალაქის გამგეობამ საქალაქო ამომრჩეველთა სიებიდგან გამორიცხა ტფილისის თავად-აზნაურობა და საექსარხოსოს სამღვდელოება.

✦ კავკასიის რკინის გზების უფროსს ბ. ივანოვსკის განზრახვა აქვს მერმისიდგან ხალხის სასხდომი ვაგონები სანთლის მაგიერ ელექტრონით გაანათოს, ან და აცეტილენით.

✦ უმართებულესს სენატს განუმარტავს, რომ მთავრობის იმ განკარგულების დარღვევა, რომელიც ხალხს უქმე დღეს მუშაობას უკრძალავს, შესაძლებელიაო; მხოლოდ ის პირი დაისჯება, რომელიც უქმე დღეს ძალათ ამუშავებს ხალხს და მით კანონს არღვევსო.

✦ ქალაქ განჯის ვაჟების გიმნაზიაში მისაღები გამოცდა მოსამზადებელსა და პირველ კლასებში დანიშნულია 24 და 26 აგვისტოს; სხვა კლასებში, გარდა მეხუთისა, მოსწავლეთათვის გამოცდა დანიშნულია 20, 24, 26 და 27 აგვისტოს.

✦ 1 სექტემბრიდგან, რიყის ქუჩაზედ (ჩუღურეთში) იხსნება ბ-ნ ნ. ი. ზუბალაშვილის აფთიაქი, რომლის მოწყობაც დაჯდება ოცდა-ცამეტი ათასი მან. ეს პირველი მაგალითია, რომ ქართველ კაცს ჩვენს დედა-ქალაქში აფთიაქი ემუშავებინოს; 28 წელიწადია, რაც ბაზიეროვს პროვიზორობა მიუღია; ამ უკანასკნელ თხუთმეტის წლის განმავლობაში თხუთმეტჯერ უთხოვნია, მაგრამ ყოველთვის უარი მიუღია. საკვირველია და გასაოცარი: როგორ ხდება, რომ რომელიმე პირი, პროვიზორობის ხარისხით ახლად დაჯილდოვებული, ისე მალე და ადვილად ეწევა ხოლმე გულის წადილს და ბაზიეროვმა-კი ამ თხუთმეტის წლის განმავლობაში თხუთმეტჯერ მიიღო უარი! ამის გამოცნობა მკითხველისათვის მიგვინდვია.

✦ წიფიდგან მოგვივიდა შემდეგი ცნობა: 29 ივლისს, საღამოს შვიდ საათზე, წიფის გვირაბის გამოსავალში კინაღამ დატრიალდა უბედურება. დიდის წვიმის გამო მთიდამ ჩამონადენ ნიაღვარს ისე წაუსილავს ლიანდაგი, რომ გზა სრულებით არა სჩანდა. გვირაბიდან ტფილისისაკენ მომავალ მატარებლის მაშინისტს რომ დროზედ არ შეეჩერებინა ორთქლმავალი, უეჭველად არ ასცდებოდა მას გადაბრუნება, ლიანდაგიდამ გადაცდენა და ხალხის დაღუპვა. ორთქლ-მავალის უეცრად შეჩერებამ საშინლად შეაშინა მგზავრები. დიდის სიფრთხილით გამოატარეს ნელა-ნელა მატარებელი სამშვიდობო გზამდე.

იმდენად დიდი და ძლიერი ყოფილა წვიმა სურამისა და ბორჯომის ხეობაზედ, რომ მიხაილოვის პირველ კლასის ბუფეტის სახურავში ჩამოუტანებია, ჩამოუგლეჯია პერი და ჩამოსულა შიგ მთელი ნაკადული.

✦ კორშენნი პერეულოკის სახლის პატრონებმა (VIII) მიმართეს ქალაქის გამგეობას შემდეგის თხოვნით: რადგანაც ჩვენი ქუჩა ბინძურობის ტბას წარმოადგენს და მცხოვრებთ ყოველი იმედი დაგვეკარგა, რომ ქალაქმა ყური უგდოს, ამიტომ ვთხოვთ გამგეობას დაგვინიშნონ ტეხნიკოსი, რომელმაც გამოიანგარიშოს, რა დაგვიჯდება მილებით არხის გაყვანა მტკვარშიო; აგრეთვე შეგვაძლებინოს ქალაქმა ნაწილ-ნაწილად ამ ხარჯის გადახდაო.

✦ ნაძალადევის ღვთის-მშობლის ეკლესიის მღვდელმა მამა ვლადიმერ გურგენიძემ მიართვა ქალაქის გამგეობას ქაღალდი და სთხოვს დაინიშნოს ქალაქიდგან მიწის მზომელი იმ ადგილის საზღვრების აღსანიშნავად, რომელიც ქალაქმა უფასოდ დაუთმო ეკლესიასაო.

✦ ნაბერეჟნის ქუჩაზედ სახლის პატრონმა, ეკატერინე როტინოვისამ ქალაქის გამგეობას მიართვა ქაღალდი, რომელშიაც სთხოვს: 1) დანიშნოს ტეხნიკოსი მის მეზობლის, აბრამოვის სახლის გასასინჯავად, რომელმაც თავისი შენობა ნახევარ ალაბზედ მეტით ქალაქის მამულზედ წამოსწია და მით შეავიწროვა მისავალ-მოსავალი ქუჩა; 2) არხის მილები აბრამოვის სახლისა ისე ახლოა მიდგმული როტინოვის სახლთან, რომ კედლებში სინესტე და სუნი გაჩნდაო.

ჩვენებური ამბები

სოფ. ზემო ხოდაშენი (თელავის მაზრა). ჩვენი მიყრუებული და მიჩუმებული სოფელი დამის ახმაურდეს. ქ. თელავიდგან 17—18 ვერსის სიშორეზედ, სოფლის ზემოთ, მთაში ცივ-გომბორის ქედზედ იმყოფება ბაგრატ წერეთლის მამული „ვეძები“, სივრცით ათას ოცი დესეტინა. მშვენიერი საშენებელი ტყე, სწორე მოხდენილი ვაკე ადგილი, მინდორ-ველები, საძოვარ-სათესები, ანკარა წყაროს წყლებით და საამური ჰაერით, ეს ადგილი საზაფხულო საცხოვრებელი აგარაკია. ბაგრატ წერეთლის მამულში ამ ჟამად დიდად გახურებული მუშაობაა: ნავთს ეძებენ. ბაგრატ წერეთლისა და პეტერბურგელ კაპიტალისტების ამხანაგობამ ძრიელ გულ-მოდგინეთ დაიწყო საქმე, დიდძალი ძვირფასი სამუშაო იარაღი მოიტანა, კოხტა და კოპწია ფერად-ფერადი შენობანი გააშენეს სადგომებად მეპატრონეებისა, მუშებისა და იარაღის საწყობ-საფარებლად, გამართეს სახელოსნო, დადგეს ათ საჟენიანი კოშკი, აქაურობა გაანათეს ელექტრონით და სხვა. ეს ყოველიფერი ისე ამშვენიერებს აქაურობას, რომ მნახველს პირველ დანახვაზედვე პატარა ბაქოს წარმოუდგენს; ეხლა ჯერ იკვლევენ ნავთის ადგილებს, ბურღვით სთხრიან ნიადაგს. დარწმუნებულნი და დაიმედებულნი არიან, რომ დიდ-ძალი ნავთი სძევს ნიადაგშიო. ჯერ ოც-და-ხუთ საჟენზედვე ეჩვენებინა თავი ნავთს.

ბევრი საწყალი ხალხი მუშაობს აქ. დიდათ ხატავის ცემის ღირსია ამ მამულის პატრონი ბ-ნი წერეთელი თავის დაუღალავის მეცადინეობისა, გამბედაობისა, კეთილ შრომისა და ქველმოქმედობისათვის. დიდი შრომა და თავ-გადასავალი გადახდა ბ-ნ წერეთელს, ვიდრე საქმეს მოაგვარებდა. ოც წელიწადზედ მეტია თავს უწევს ამ მამულს რომელიც შეისყიდა ბანკისაგან და თავის პირადის შრომით და მეცადინეობით ეს „უსარგებლო“ მამული გახადა სასარგებლო და შემოსავლიან მამულად. გაუკეთა მისავალი გზები და პირველმა დაიწყო ნახშირისა და ხე-ტყის ზიდვა ტფილისს, თელავს, სიღნაღს და სხვა ადგილებში; დიდხანს ასე ისარგებლა და მერე გარდასცა იჯარით ერთს ტფილელ ვაჭარს, აგრეთვე 148 დესეტინა ტყე ას თორმეტ თუმნად წელიწადში; მერე მოიყვანა და დაასახლა ორმოცი კომლი მთიული ხალხი—ფშაველები, რომლებიც აძლევდნენ მემამულეს ფულად, მუშაობით და სხვა რამე ნაწარმოებით ხუთ-ექვს თუმნამდის წელიწადში თვითოეული კომლი; კარგად მოეწყვნენ ახალ-დასახლებულნი, შეიძინეს საკმარისი საცხოვრებელი, რადგანაც დიდად ნაყოფიერი და ყველაფრის მომცემი მამულია და ასარგებლებდნენ მემამულესაც, მაგრამ დაიწყეს შემდეგში ახლო-მახლო სოფლებში ქურდობა, ნაპარავის საქონლის და ნივთების დამალვა, ბოროტ-მოქმედ პირების შენახვა და სხვა ბევრი ამგვარი მოქმედებანი, რაიც წერეთელმა არ მოუწონა, ბევრს ეცადა მოეშლევინებინა და, ბოლოს რომ ვერა გააწყო-რა, აჰყარა ისევ და გარდაასახლა ხსენებული ფშაველები.

ამის დამნახვნი მეზობელ მამულების პატრონნიც გამხნევდნენ და მოჰკიდეს ხელი საქმის კეთებას: თავისი მამული ზოგმა იჯარით გასცა, ზოგმა დაასახლა წერეთლისაგან გარეკილი ხალხი და მისცეს მათ სახნავ-სათესისათვის გასაწმენდათ ტყე-მინდვრები და ამ გვარად უდაბურს ადგილებზედ გააშენეს სოფლები. ამ დრომდის ეს მამულები იმყოფებოდა უქმად და მეპატრონეთ მხოლოდ დრო-გამოშვებით მარტო ღორის და საქონლის მცირედი საბალახოებით ჰქონდათ სარგებლობა და დიდად ტყე მაჭანად დესეტინა 5—10 მანეთად და ეხლა ფასობს მარტო ტყე გასაკაფად 30 და 40 მანეთამდე დესეტინა.

ბ-ნ წერეთლის მამულში იმყოფებოდნენ ტბაგუბეები ნავთისა და (ვეძები), რომლისაც ერთს დროს ნახსნი ჰქონდათ ცნობილ სწავლულს გოლოვკოს აბიხს და სტრუვეს და იმათი გამოკვლევით ამ ადგილის ნიადაგში უხვად ყოფილიყო დაგუბებული დიდ-ძალი ნავთი, საიდგანაც თურმე იჟღებოდა უპირველესი ძარღვი ბაქოს ნავთისა და ესევე გამოთქვეს შარშან საზღვარ-გარეთიდგან ჩუმათ მოსულმა თერთმეტმა ინჟინერმა. ამ გარემოებამ ააფიქრებინა წერეთელს ნავთის საქმის დაწყება. შეუდგა ამ საქმესა და იწყო მიწერ-მოწერა მცოდნე და გამოცდილ პირებთან შინა და გარეთა სახელმწიფოებში, გზავნა ნიმუშები ამ მადნეულობისა, აცნობა გამოფენებზედ ყველას ეს გარემოება და ბოლოს, დიდი ხნის და ბევრის მეცადინეობის შემდეგ, ჰპოვა პეტერბურგში ფულიანი ამხანაგობა, რომლებმაც არა ხუმრობით მოჰკიდეს ხელი და შეუდგნენ საქმეს. ეხლა, როგორც მოგახსენეთ, გახურებული მუშაობაა. დარწმუნდნენ მწარმოებელნი, რომ დიდ-ძალ ნავთს ამოიღებენ. გარდა წერეთლის მამულისა სოფ. ახმეტაში ნადიკვანთ მამულ ილდოკანშიაც იწყეს მუშაობა, ყველანი მოელიან გამდიდრებას და გაბედნიერებას. ღმერთიმც ინებებს და მოჰხედავს ერს.

ი. ჰ.

უცხოეთი

პარიჟი. რაც მოგივა დავითაო, ისევ შენის თავითაო, სწორედ საფრანგეთის კლერიკალებზედ თქმულა.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იგინი სრულიად მოურიდებლად და უსირცხვილოდ სდევნიდნენ როგორც პირადს, ისე საზოგადოებრივს თავისუფლებას. დღესაც, თუ-კი როგორმე მიუწვდებათ ხელი, ყოვლის ღონისძიებით ავიწროვებენ და ჰხუთავენ თავისუფალს აზრსა, თუ მოქმედებას; მაგრამ თუ გაჰბედეთ და თქვენისავე უფლების დასაცველად ხმა ამოიღეთ, კლერიკალები ისეთს განგაშს ასტეხენ, გეგონებათ, ეს საბრალონი მართლა და მეტად დაუჩაგრავთო; მეტი მელაძუობა და კადნიერება გაგონილა! იგინი დასაბამიდგანვე უკიდურესს მიუკარებლობას მისდევდნენ, სარგებლობდნენ ყოველ მოხერხებულ შემთხვევით, რომ ხალხში გაემწვავებინათ ერთ-ურთის დამოკიდებულობა, აერივდაერიათ საზოგადოებრივი აზრი და, რასაკვირველია, ყოველივე ეს თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ხალხი მიუხვდა მათ ოინებს, შეიძულა და შეიზიზღა იგინი, მაგრამ იმდენი ძალა არ შესწევდა, რომ ამ მლიქვნელთა კლანჭებიდგან როგორმე დაეღწია თავი. ეხლა, როდესაც ყველასათვის ცხადი შეიქმნა მათი „საქმენი საგმირონი“, ხალხი თითქმის ერთხმად უარ-ჰყოფს მათს ცრუ-პატრონობას და ხმა-მაღლა გაიძახის, მოგვაშორეთ თავიდგან სულთა-მხუთავნიო. კლერიკალებმა ჩვეულებრივს ხერხს მიჰმართეს: დაჰკრეს ბუკი და ნაღარა, შეგვიბრალეთ, მთავრობამ არ დაგვინდო, ყოველივე უფლება უსამართლოდ ჩამოგვართვა, მოგვექომაგეთ, ვინცა ხართ ქრისტიანიო. მეტი უტიფრობა განა-ღა შეიძლება! ის დროებითი „შეღავათი“, რომელიც მათ მინიჭებული ჰქონდათ, დაიკანონეს და „უფლებად“ ჩაითვალეს! ერთი კაცმა ჰკითხოს, სად, ან როდის მიუცია მთავრობას ვისთვისმე სხვისი დაჩაგვრის უფლება? ახლა სრულებით დაჰკარგეს თავი და ხსნას-კი არსაიდგან ელიან. მათ მიერ გამოწვეული მანიფესტაციები სწორედ ბურბუშელას ცეცხლსა ჰგავს: უცბად იფეთქა, მაგრამ მალევე ჩაჰქრება; შეიძლება სადმე მივარდნილს კუთხეში, როგორც ბრეტონის, ან კანდეის სოფლებია, კიდევ რამდენიმე ხნით გამაგრდნენ, მაგრამ პარიჟში, ლილში, ლიონში და სხვა ამგვარ ადგილებში მათ ყოველივე ნიადაგი დაჰკარგეს, რადგანაც აქ არამც თუ მარტო მშრომელი ხალხი, თვით ვაჭარნიც-კი მეტად მტრულად უყურებენ კლერიკალებს. რესპუბლიკანელებმა უნებლიედ ჩინებული სამსახური გაუწყეს [illegible] იმის მაგივრად, რომ, როდესაც კლერიკალების მანიფესტაცია ქალაქის ერთს უბანში ხდებოდა, მათ მეორე უბანში მოეხდინათ კლერიკალთა საწინააღმდეგო მანიფესტაციები და ამით გაებათილებიათ პირველნი, ჩაერივნენ კლერიკალ-მანიფესტანტებში და ამით უფრო გააზვიადეს მათი საქმე; რომ ეს უხერხულობა არ ჩაედინათ რესპუბლიკანელებს, კლერიკალები უეჭველია მშრალზედ დარჩებოდნენ.

კლერიკალთა მანიფესტაციების დროს ერთი საყურადღებო საკითხიც გამოირკვა: დღეიდე ზოგიერთს კერძო პირებსა და თვით დასებსაც-კი ორჭოფობა ემჩნეოდათ; არავინ იცოდა, ვის, ან რას თანაუგრძნობდნენ იგინი. მაგ., ნაციონალისტნი სულ იმას გაიძახოდნენ, ჩვენ კლერიკალების არა გვწამს-რაო, მაგრამ ეხლა კოპპე, ჟიულ ლემეტრი, მილვუა, გრაფი დემენი და დენი-კოშენი ხელის-ხელ ჩაკიდებულნი კათოლიკე-მანიფესტანტებს მოთაოვეობენ; კლერიკალთა ბანაკში გადავიდნენ ჟიულ-როშერის მოთაოვეობით მელინისტებიც, რომელთაც წინადაც მათი მხარი ეჭირათ. ოპპორტიუნისტები უფრო ფრთხილად იქცევიან: იგინი არც თვითონ იღებენ მონაწილეობას მანიფესტაციებში და არც სხვებს აქეზებენ, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ დიდათ თანაუგრძნობენ კლერიკალებს. ამნაირად კლერიკალთა მანიფესტაციებს არავითარი ცუდი შედეგი არა ჰქონია მთავრობისათვის, და სარგებლობა-კი მოუტანა: ის მაინც ეცოდინებათ ეხლა, ვინაა მათი მტერი და ვინ მოყვარე.

კლერიკალები და ოპორტიუნისტები გაიძახიან, მთავრობა უკანონოდ მოიქცა, შეუწყნარებელი ძალმომრეობა ჩაიდინა ჩვენს შესახებო. მაგრამ თუ საქმეს ჩავუკვირდებით, სრულებით წინააღმდეგი აღმოჩნდება; კომბის სამინისტროს წინ უდევს კანონი და ბეჯითად მისდევს მის განხორციელებას; კომბის ცირკულიარით უნდა დაიხუროს მხოლოდ ის საკონგრეგაციო სკოლები, რომელთაც საჭირო ნება-რთვა არა აქვსთ და არც უნდათ აიღონ. რესპუბლიკანელები ამბობენ, რომ ასეთი ზომები მაინცა-და-მაინც დიდს ზიანს ვერ მისცემს კლერიკალებსაო. სახელმწიფოს იმდენი საერო სკოლა ჯერ-ჯერობით არ მოეპოება, რომ საკონგრეგაციო სკოლების მოსწავლენიც დაიტიოსო; მაშასადამე ისევ ის საკონგრეგაციო სკოლები დარჩება, მხოლოდ სხვა სახითაო; აკი განაცხადეს კლერიკალებმა, ჩვენ ბლომადა გვყავს ერის კაცები მასწავლებლად მომზადებულნი და შემოდგომიდგან ჩვენს სკოლებში მათ ჩავაყენებთო; აბა, ვნახოთ, მთავრობის პრაგრამას მიჰყვებიან იგინი, თუ ჩვენსასაო. კლერიკალებს მით უფრო მოაქვსთ თავი, რომ მათ ხელში დიდ-ძალი სიმდიდრეა; სიმდიდრე-კია, როგორც მოგეხსენებათ, ისეთი ძალაა, რომ შეუძლებელსაც-კი შესაძლოდა ჰხდის. ეს სიმდიდრე თან-და-თან იზრდება დიდ მემამულეთა და ვაჭარ-მრეწველთა შემოწირულობის წყალობით; გარდა ამისა ნუ დავივიწყებთ, რომ ხალხში განათლებას

ფელეტონი

„აბდულ-მესიანი“

ანუ

„შესხმა თამარ მეფისა და დავით სოსლანისა“.

I.

ათიოდე წლის წინად შევუდექით ქართულ კლასიკურ მწერლების შესწავლას და ზოგი რამ მათ შესახებ უკვე დავბეჭდეთ „ივერიაში“, ცალკე წიგნებად და რუსულს გამოცემებში.

სხვათა შორის, იოვანე შავთელის თხზულების შესწავლამ სავსებით დაგვარწმუნა, რომ „აბდულ მესია“ არის იგივე თამარ მეფისა და დავით სოსლანის ცნობილი „შესხმა“.

ჯერ ისევ 1899 წელს შემთხვევა გვქონდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის კრებულში (Сборникъ, вып. XXVI, გვ. 96) მოგვეყვანა შოთა რუსთაველის განცხადება:

ამირან დარეჯანისძე
მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ მესია—შავთელსა,
ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ—სარგისთმოგველსა,
მას ენა დაუშრომელსა,
ცარიელ—მისსა რუსთველსა,
მისთვის ცრემლ შეუშრობელსა.

და გადავეთარგმნა: „Амирана Дареджанисдзе воспѣлъ Мосе Хонели; Абдулъ-Месію (воспѣлъ) Шавтели, (тотъ), котораго стихъ восхвалили“ და სხ.

მაშინ იქვე შევნიშნეთ, რომ იოვანე შავთელმა დაგვიტოვაო „შესხმა თამარ მეფისა“ და „აბდულ-მესია“-კი არაო ანუ, უკეთ ვსთქვათ, ასეთი თხზულება არ არსებობსო. ამბობენ, ვითომ აბდულ-მესია ყოფილიყოს თვით იოვანე შავთელიო, გარნა ამისთანა თქმულებას ეწინააღმდეგება მსვლელობა რუსთაველის აზრისა და მას-კი ჰსურდა აღენიშნა, თუ, სახელდობრ, ვის ვინ შეექო.

დღეს ნიჭიერი ნ. მარრი თავის თხზულებაში (Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи. Древне-грузинскіе одописцы) ამტკიცებს: აბდულ-მესია დავით აღმაშენებელიაო და თვით შავთელის „შესხმაც“ თამარ მეფეს-კი არა, დავით აღმაშენებელს ამკობსო.

ასეთი დასკვნა არა თუ აჩქარებულად მიგვაჩნია, არამედ ყოვლად შეუსაბამოდაც.

კვალდაკვალ მიყოლა პატივცემულ მკვლევარისა შორს წაგვიყვანს, ამიტომ ვეცდებით სიტყვა მოკლედ მოვჭრათ.

„შემოკრბით ბრძენნო,
ათინელთ ძენო,
თამარს ვაქებდეთ,
მეფედ ცხებულსა“.

ამ მშვენიერს ლექსში ნ. მარრი თამარს **დავითად** სცვლის, თამარის საქებელს დავითს მიაწერს. რად?—ამიტომაო, რომ შავთელის „შესხმაში“ შეიქების **ძეო** და არა **ასული**. ბუნებრივი არ არისო თამარს მივაწეროთ მე-63 ტაეპის სიტყვები: „შენ ხარ **მამა** ობოლთა, მსაჯული ქვრივთა“ და არც შეეფერება თამარს ისიც, რომ მგოსანი თავის გმირს ადარებს სამსონ-როსტომ-ზაალ-ნებროთ-მოსიმახს და სილამაზით იოსებსო (იხ. მარრის თხზულების მე-9 გვ.).

„ძედ“ თუმცა თამარი იწოდება ჩახრუხაძისაგანაც, ასულის მაგიერ თუმცა რუსთაველი **ძეს** ჰხმარობსო, გარნა რუსთაველის ეს ლექსი შეიძლება გარყვნილიყოსო.

ქართულ ენას არ ეუცხოება შემკრებლობითად იხმაროს **ძე** ასულის მაგიერ, ისე, როგორც იხმარება **მეფე** დედოფლის მაგიერ, წული ასულისა და ძის მაგიერ.

ქართლის ცხოვრებაში თამარი ამბობს (გვ. 312): „მე ვარ **მამა** ობოლთა, მსაჯული ქვრივთა“. ამ სიტყვებს იმეორებს შავთელიც და ამბობს:

„თვალი ხარ ბრმათა,
თვით მზრდელი ყრმათა...
მამა ობოლთა,
მსაჯული ქვრივთა“.

არ გვესმის, რაა აქ შეუსაბამო. თამარი თუ იყო ქვეყნის **მეფე**, მისი **მამა** როგორ-ღა არ იქნებოდა!

რაიც შეეხება მესამე მუხლს—„შესხმის“ გმირის შედარებას მსოფლიო გმირებთან—ეს ეჭვსაც არ სტოვებს, რომ შავთელის „შესხმაში“ შექებულია თამართან ერთად დავით სოსლანიც და არა დავით აღმაშენებელი.

შავთელი თამარს და დავითს (სოსლანს) ადარებს სწორედ იმ გმირებს, რომელთა მაგვარსაც თამარის საქმროდ ეძებდნენ ქართველნი.

მთელის სამეფოს დიდებულნი, სპასალარნი და ერისთავნი პატრიარქის წინაშე შემოკრბნენო, ამბობს ქართლის-ცხოვრება (გვ. 284) და მოახსენესო, რომ ყველამ ერთად ილვაწონ და თამარს გამოუძებნონ ისეთი ქმარი, ვითარიც იყო **თამთა** თანიმანისათვის, **ამირან** ხვარაშანისათვის, **ხვასრო** შანშაბანუმისთვის, **მზექაბუკ** ხაზართ-მზისათვის, **პოლემპი** მხნედ-მბრძოლი იპოლამისთვის, **პლატონ** პერსეფონისათვის, **რამინ** ვისისთვის, **შარიარონ** ოსნაოზისთვის, **ბადბერ** ანალთისთვის, **იაკობ** რაქაელისთვის, **იოსებ** ასანათესთვის, **დავით** ბერსაბესთვის და აბისაკისთვის *).

და შავთელიც ამბობს:

„მან იოსებსა,
არი ოსებსა,
სიტურფე ართო,
თვით მსგავს იმისა“.

შავთელი სხვა ტაეპშიაც იხსენიებს თამარ-მეფეს და, სხვათა შორის, სცდილობს დაამტკიცოს, რომ დავით სოსლანი ჩამომავლობითაც, სულიერ და ხორციელ ღირსებითაც, სათანადო იყო საქართველოს **მზის** მეუღლეობისაო.

თამარისთვის რომ ქმარს ეძებდნენ, არ იცოდნენ, ვინ მოეწვიათ სასიძოდ, ზოგი ვის ასახელებდა, ზოგი ვის, გარნა დავით წინასწარმეტყველის სიტყვა აღსრულდაო: „უმცირეს ვიყავ ძმათა ჩემთა შორის და უმრწემეს სახლსა შინა მამისა ჩემისასა, ხოლო თავად უფალმან აღმიღო და მცხო ზეთითა ცხებულისა მისისათა“. საქართველოში იყო მოყმე ვინმე ეფრემის ძეთაგან, (რომელ არიან ოვსნი), ჩამომავლობით ბაგრატიონი. იგი აქვე გაზრდილიყო, „იყო ფრიად შვენიერი, ნაკვთად კარგი, ბეჭ ბრტყელი, პირად ტურფა, ტანად ზომიერი, კეთილად ჰრდილი და წვრთილი, მხნე, ძლიერი, რაინდობითა და მშვილდოსნობით უსწორო შემმართებელი, ტანით ახოვანი, ყოვლითურთ სრული სიკეთითა და ორთავე კერძთა გვართაგან სახელმწიფო“. ამის შერთვა მოახსენეს თამარს და მან ბრძანა: „მოწამე ღმერთი, არასოდეს, არც პირველ და არც ეხლა, ჩემს გულში არ ყოფილა ქმროსნობის წადილი, თუცა არის ვინმე **მკვიდრი** საყდრისა ჩემისა..., აწცა ამის მოაჯე ვარ“.

მოიყვანეს ეს მოყმე, დავით-ბაგრატიონი, შერთეს თამარს და დასხდნენ „ტახტსა ბედნიერსა ორნი მნათობნი, ორნი მზენი, განმანათლებელნი ყოველთანი“ (ქ. ცხ., გვ. 291).

ქართლის-ცხოვრებაცა, შავთელიცა და ჩახრუხაძეც ერთნაირად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ბაგრატიონობა დავით სოსლანისა, და მხოლოდ ამიტომ მოუნდა შავთელს მოეგონა ღვთის აღთქმა, რომ დავით წინასწარმეტყველის შთამომავალს ღმერთი არ გამოაკლებს მეფობასო.

„დავითისადა,
დავითისადა
ეფუცა უფალს
სიტყვა მტკიცედა:
ნაშობნი შენნი,
შენ მიერ შენნი,
დავსვა მსაჯულად
საყდართა ზედა“ (ტ. 5).

ამასვე იმეორებს „ალღუზიანის“ ავტორი, როდესაც შეეხება დავით-სოსლანს და, საზოგადოდ, ოსთ ხელმწიფეთ შთამომავლობას.

მანვე ამტკიცებს ჩახრუხაძე (ტ. 8):

„ისვრის ისარსა
ვიტყვი, ის არსა
ეფრემის ძირია
აღმორჩებულად (აღმოცენებულად).

თამარიც ხომ, როგორც ვთქვით, თავის „საყდრის მკვიდრს“ ეფრემის შთამომავალს ბაგრატიონს ეძებდა.

ამას გარდა, ჩვენ სრულიად არ გვეუცხოვება, რომ შავთელი თამარს ადარებს დიდ-დიდ გმირებს ძალით, სიმხნით, რაინდობით. არ გვეუცხოვება მისთვის, რომ თვით ქართლის ცხოვრებაშიაც თამარის მკლავი, რაინდობა და სპასალარობა გმირების და მსოფლიო სპასალარების სწორად დასახულია. ორიოდე მაგალითი.

„ლომი ბრჭყალთაგან საცნაურ არს, თამარ—საქმეთაგან“ (ქ. ცხ., გვ. 291).

იქებოდა თამარი „სიმშვიდითა დავითიანითა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმხნითა და საურვისა დღესისა ხვალისა არ მიგდებითა ალექსანდრიანითა“. (იქვე, გვ. 282). სიმხნით და დღევანდელ საქმის სახვალიოდ არ გადადებით ალექსანდრე მაკედონელს ედარებოდაო თამარ მეფე.

„სჯულისათვის მეორე კონსტანტინე (დიდი) იქნებოდა, მისებრ მოსწრაფე იყო დაწყებასა საქმეთასა“ (იქვე, 279).

„სფეროსანთა, რომელ არიან კრონოს, ზევს, აფროდიტე, აპოლონ, ერმი, ირაკლი და არეა,—ამათ შესახა (თამარმა) სფერო მიწიერი“ (გვ. 278).

„უწოდა (თამარს) ნათლად ულუმპიანად“

---

*) უმეტესი ნაწილი აქ ჩამოთვლილ პირთა გმირებია „ამირან დარეჯანიანისა“ და „როსტომიანისა“.

ჯერ კიდევ ვერ მოუკიდნია მაგრად ფეხი; გაქნილმა კლერიკალებმა ეს გარემოებაც საუცხოვოდ გამოიყენეს; გააბეს ობობას ქსელი და შიგ მოაქციეს ყველანი, ვინც თავის გულ-უბრყვილობით მათ მიენდო. მთავრობა, მართალია, გულმოდგინედ შეუდგა სახალხო სკოლების გამართვა-მოწყობას, მაგრამ დღეს ყველასათვის ცხადია, რომ მარტო პირველ-დაწყებით სკოლას დიდი ვერაფერი სარგებლობა მოაქვს საჭიროა ბავშვმა შემდეგშიაც განაგრძოს სწავლა რომელსამე საშუალო სასწავლებელში; გავრცელდეს სოფლელთა და მრეწველთა შორის უფრო სწორი შეხედულება ცხოვრებაზედ; თუ თვით საზოგადოება არ განვითარდა, არ ამაღლდა სულიერად, მარტო ან-ბან-ის ცოდნა ვერ იხსნის ახალგაზდას დაქვეითებისაგან; ის ისევ მალე გაუთანაბრდება ბრბოს გონებრივადაც დ ზნეობრივადაც. გულწრფელი რესპუბლიკანელნი დიდ ყურადღებას აქცევენ ამ გარემოებას და ჰგონებენ, მთავრობა ეხლავე უნდა შეუდგეს ამ აზრის განხორციელებასაო; ბლომად მოგვეძევება განათლებული და ამ საქმისათვის ჩინებულად მომზადებული კაციო; იგინი დიდის სიამოვნებით იკისრებენ „მოსიარულე" პროფესორობას, თუ-კი მთავრობა მოუწოდებს მათ და საჭირო დახმარებას აღმოუჩენსო. გარდა ამისა უნდა გავრცელდეს იაფ-ფასიანი წიგნები, ბროშიურები და სხ. მაგრამ, საუბედუროდ, ამ ჟამად საფრანგეთში გამეფებულია პროგრესიული ბურჟუაზია, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გაუბედნია შემოსავლის მიხედვით გადასახადის შემოღება და სარწმუნოებათა ბიუჯეტის მოსპობა. აი, ამ მდგომარეობაში იმყოფება საფრანგეთის მთავრობა და, ამიტომაც მაღლა მოაქვსთ თავი კლერიკალებს; უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჯერ კიდევ კარგა ხანს გასტანს მათთან ბრძოლა, თუმცა მთავრობას მრავალი სხვა უფრო საჭირო საქმეები აქვს და მისთვის უნდა იზრუნოს.

ინგლისი. გაზ. „Standard"-ის სიტყვით, დელარეის, ბოტას და დევეტს, რომელთაც 3 აგვისტოს მოელიან ინგლისში, რამდენიმეჯერ ექნებათ მოლაპარაკება ბალფურსა და ჩემბერლენთან მეტად საჭირო საქმეებზედ. სხვათა შორის უნდა გამოითხოვონ ბურებისათვის 8 მილიონი სტერლინგი სესხად და გააუქმებინონ მთავრობას ის პროექტი, რომლითაც ერთი ნაწილი ტრანსვაალისა ნატალს უნდა მიეწეროს.

სხვა-და-სხვა წერილები

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პარალელ კლასების გაუქმების შესახებ.

ამ წლის „ივერიის" მე-12 ნომერში დაისტამბა წერილი ბ-ნ ა. გ. ამ სათაურით: „იმერეთის სამღვდელოთა კრება". წერილი შეეხებოდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის საქმეებს.

„წარსულ წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში, ამბობს ავტორი, მოხდა იმერეთის სამღვდელოების კრება. ამ კრებას სასულიერო მთავრობისაგან, სხვათა შორის, ჰქონდა მინდობილი განსახილველად ერთი ფრიად საყურადღებო საგანი: ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ორად გაყოფა: ერთში თვით სასწავლებელი უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორეში—პარალელი განყოფილებანი. კრებამ... გადასწყვიტა გაუქმება პარალელ კლასებისა". ავტორი სასწავლებლის ორად გაყოფას თანაუგრძნობს. იგი სწერს: „რაც შეეხება სასწავლებლის ორად გაყოფას და ახალ შენობის მოპოებას, უნდა ვსთქვაო, რომ ეს თუმცა ძლიერ საჭიროა, მაგრამ ჯერ-ჯერობით სამღვდელოების სიღარიბის გამო საძნელოა, რადგანაც ეს საქმე დიდ თანხას თხოულობს".

სულაც არ არი საჭირო ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ორად გაყოფა, არც იმ შემთხვევაში, „თანხაც" რომ მზა-მზარეული ჰქონდეს სამღვდელოებას. ეს ხელსაყრელი იქნება მხოლოდ სასწავლებლის უფროსებისათვის, სხვისთვის არა. თუ მართლა იმათ უმძიმთ სასწავლებლის მოვლა და პატრონობა, შეუძლიანთ უფრო ადვილი სამსახური მოიძებნონ. რუსეთში ბევრია ორფა (двойное) სასულიერო სასწავლებლები, მერე უფრო უხერხულ შენობებში მოთავსებული, ვიდრე ქუთაისისა, მაგრამ იქ ვერავინ ჰბედავს კრინტი დასძრას,—სასწავლებლის ორად გაყოფის უადგილო პროექტებით სამღვდელოების შეწუხებას. ხოლო ცნობილია, რომ სამღვდელოება იქ შეძლებულია და ნივთიერად წელში გამართული. იქაურ სამღვდელოებას მარტო სანთლის ქარხნებიდგან ათი-ათასობით აქვს წმინდა შემოსავალი. ერთად-ერთი ჰკუაში მოსასვლელი საფუძველი სასწავლებლის ორად გაყოფისა არის მისი მშობლებისთვის დაახლოვება. მაგრამ ამაზე მთავრობა არ დასთანხმდება, რადგანაც შორეული სასწავლებელი ძნელი სათვალყურო იქნება მისთვის და არც ღირსეული მასწავლებლები დათანხმდებიან მიყრუებულ ადგილას იმსახურონ. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ორად გაყოფის პროექტი არ ახალია, ძველია. ოცდა-ერთის წლის წინად ერთი გავლენიანი მღვდელი სცდილობდა, სასულიერო სასწავლებელი ორად გაეყო და მეორე სასწავლებელი თავის საბლალჩხინოში მოეთავსებინა. ჩვენ ვიცით სარწმუნო წყაროდგან, რომ მისის თხოვნით მაშინდელმა ზედამხედველმა ამ საქმის თაობაზე ლაპარაკი ჩამოაგდო მორიგ ყრილობაზედ. განსვენებულმა ეპისკოპოსმა გაბრიელმა ეს ძლიერ იწყინა და ბრძანა, რომ მეორედ არ გამაგონოთ ამაზე ლაპარაკიო.

რასაკვირველია, პარალელ კლასების გაუქმება უადგილო და მტრის გასახარებელი საქმეაო. არა თუ გაუქმება, საჭიროა მესამე სასულიერო სასწავლებლის დაარსება იმერეთის ეპარქიაში (საჩხერეში ან უწერაში), თუ მართალია ბ-ნ ა. გ—ის სიტყვები: „წელს 171 მთხოვნელი იყო. მათში საერო წოდებისა მხოლოდ რვა ერია". მესამე სასწავლებელი უნდა ინახებოდეს საეკკლესიო ხარჯით. სამღვდელოებამ მარტო შენობის აგება უნდა იტვირთოს. ხოლო ამაზედ ლაპარაკი უადგილო იქნება, სანამ ქუთაისის სასულიერო სემინარია ნაქირავებ სახლშია მოთავსებული. ჯერ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ სინოდმა გაიღოს სემინარიის სახლისათვის საჭირო ასაგები ფული.

პარალელ კლასების გაუქმების ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი ყოფილა სასწავლებლის უვარგისობა და დაცემული მდგომარეობა. პატივცემული ა. გ. სცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ „სწავლა-აღზრდის საქმე ხსენებულ სასწავლებელში რიგიანად არის მომართული". იგი ამბობს: „ზოგიერთნი ბევრს რასმე ლაპარაკობდნენ ხსენებულ სასწავლებლის დაქვეითებაზედ, მაგრამ, როგორც ფაქტები გვიმტკიცებს, იგი არაფრით არ ჩამოუვარდება საეგზარხოსოს არც ერთ სხვა სასწავლებელს". ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს. თუ მართლა კარგა იყო საქმე, 1) რისთვის დაითხოვეს ამას წინად თითქმის მთელი კორპორაცია მასწავლებლებისა ორის უფროსით? 2) რისთვის გამორიცხეს 1900 წ. სასწავლებლიდგან 95 შეგირდი? 3) რისთვის გამორიცხეს შემდეგ ამისა მეორე წელს... იმავე სასწავლებლიდგან 36 შეგირდი? ყველა დამერწმუნება, რომ ერთი კლასიდგან თერთმეტის შეგირდის დათხოვნა ვერაფერი საბუთია სწავლა-აღზრდის საქმის რიგიანად მომართვისა. ამ მხრივ არსად რუსეთში არ ექცევიან ისე უმოწყალოდ შეგირდებს, როგორც ეს ამ ბოლო დროს ქუთაისში უნებებიათ. თუ პირველში დარჩა შეგირდი, მეორეში იმას მეორე წელს აღარ სტოვებენ თურმე. უსაფუძვლოდ მიგვაჩნია აგრეთვე მეორე და მესამე კლასიდგან შეგირდის გამორიცხვა იმისთვის, რომ მეოთხე კლასის გათავების დროს იგი 18 წლის და სამის თვისა შეიქნებაო. იქნება დედ-მამას სულაც არ ჰქონდა ფიქრად თვისის შვილის სემინარიაში მიბარება, გარნა უნდოდა სულით და გულით, რომ მის ბლარს ოთხის კლასის სწავლა შეესრულებია?—სჩანს, ვერ ყოფილა სწავლა-აღზრდის საქმე კეთილად წარმართული, მაგრამ პარალელ კლასების გაუქმება ამის წამლად არ გამოდგება. საჭიროა საქმის მცოდნე და მტკიცე ხასიათის სამმართველოს წევრთა არჩევა სამღვდელოების მხრივ. ჩვენის ეკკლესიის მნათობმა განსვენებულმა ეპისკოპოსმა გაბრიელმა იცოდა ხშირად შეხედვა სასწავლებელში: ეგზამენებს ესწრებოდა და წლის განმავლობაშიაც გაკვეთილებს ესწრებოდა იქ, საცა საქმე სუსტობდა და კოჭლობდა. ნეტა, ეპისკოპოსს ბესარიონს ხომ ჩამორთმეული არ ჰქონდა სასწავლებლის შესახებ მღვდელ-მთავართა უფლება? **უმაღლესად დამტკიცებულ სასწავლებლის წესდებაში** ეპისკოპოსთა უფლებანი სასწავლებლების შესახებ ცხადად განმარტებულია. ჩვენ ჯერ არსად არ ამოგვიკითხავს ისეთი განკარგულება, რომლითაც ეპისკოპოსებს წართმეოდათ სასწავლებლების შესახებ უფლებანი.

ბ-ნი ა. გ. სწერს თავის წერილში, რომ „სასწავლებელს არა აქვს სამყოფი სიდიდის ეკლესია და მოსამზადებელ კლასების ბინაც ცოტად ნაკლებია".

პატივცემული ავტორი ურჩევს სამღვდელოებას მოსამზადებელ კლასებისთვის ცალკე შენობის ყიდვას და მის გაფართოებას. შემცდარია ავტორი, როცა იწუნებს მოსამზადებელ კლასების ბინას. მარტო ორის მოსამზადებელ კლასის ბინა არის „ცოტა ნაკლები", ე. ი. ვიწრო, სხვებს არა უშავს-რა ჩვენის შეძლების პირობაზედ. 1879 წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შენობაში მოთავსებული იყო 15 კლასი. იქვე იყო მოთავსებული პანსიონი და იქვე ჰქონდა ბინა ფერშალს. მას აქეთ მეთხუთმეტე კლასი დაიკეტა, პანსიონი გაუქმდა და ფერშალს ბინა მიეჩინა ცალკე აშენებულ საავადმყოფოს ორსართულიან სახლში, რომელიც არათუ სასულიერო სასწავლებელს, აკადემიასაც-კი შეეფერება. იმ ოთახებში, საცა პანსიონი იყო, ორი კლასი ძალიან კარგად მოთავსდება, თუ სასწავლებელს საქმის მცოდნე და გულ-შემატკივარი უფროსი ჰყავს ახლა.

„სასწავლებლის მახლობლად, ბაგრატის ტაძრის ნანგრევთა სამხრეთ-დასავლეთის მხრივ, სადაც ხის პატარა საეკკლესიო სახლებია, იმოდენა ადგილია, რომ სასწავლებლის ეკკლესია იქ თამამად მოთავსდებაო", ამბობს ბ-ნი ა. გ.

ვერც ეს მოსვლია კარგათ პატივცემულ ავტორს. ბაგრატის ტაძრის მიდამოს მოხრიგვა არ არის სასურველი. კარგი იქნება, რომ აწი მაინც აღარავის მიეცემოდეს იქ ახალის შენობის აგების ნება. მოახლოვებულია ის დრო, როცა დაარსებულ იქმნება ქუთაისში ბაგრატის ტაძრის დამცველი და აღმაშენებელი კომიტეტი. ამ სასიქადულო ჩვენის ძველების ქველობის, ხელობის და მანეობის ნაშთმა ამდენი ხანი შეიმაგრა თავი; თუ არ მივეშველეთ, შეიძლება მთლად ჩამოინგრეს, ან ვინმე ძალად დაანგრიოს. აკი მაინც დანგრევას უპირებდა ერთი ჩვენთაგანი, რომ უცხონი არ ჩარეულიყვნენ საქმეში!

ჩვენ-კი გაგვიგონია, რომ 1883 წელს გაკვეთილებ შორის მთელის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შეგირდები შეიყვანეს სასწავლებლის ცარიელ ეკკლესიაში, დააყენეს მწყობრად და აღმოჩნდა, რომ თუ მრევლი არ ივლის სასწავლებლის ეკკლესიაში, მარტო შეგირდები თავისუფლად მოთავსდებიან, მხოლოდ საჭიროა ვენტილიაციის კარგად მოწყობა, რომ ზამთარში, როცა კარები იხურება, ჰაერი არ შეგუბდეს. იმ დროს წმინდა გიორგის ეკკლესია შენდებოდა, და მრევლის სასწავლებლის საყდარში შეუშვებლობა არ მოხერხდებოდა. მაშინ სასწავლებელში სწავლობდა 641 შეგირდი, ხოლო ახლა, როცა ბ-ნ ა. გ—ის სიტყვით სწავლა-აღზრდის საქმე ხსენებულს სასწავლებელში რიგიანად არის მომართული, ეს რიცხვი 544-ზე ჩამოსულა და უკეთუ შეგირდების წალმა-უკუღმა დათხოვა არ მოიშლება, საფიქრებელია, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, კიდევ უფრო შემცირდეს ეს რიცხვი და „სამყოფის სიდიდის" ეკკლესიის აშენებაზე თავის ტკენა ხომ მეტი შრომა იქნება. ჩვენ ვამბობთ, რომ ახლა სასწავლებლისათვის ახალ ეკკლესიის აშენება არ შეადგენს მიუცილებელ საჭიროებას. დღეს ჩვენის სამღვდელოების ყურადღება უნდა მივაქციოთ მთლად ქუთაისის სასულიერო სემინარიისთვის სახლის აშენების საქმეს. იმერეთის სამღვდელოებას თუ ათიათასი მანეთები მოეპოება სადმე, დაგვიჯერეთ, ერთი ათად უმჯობესია, სემინარიის სახლის აშენებას მოახმაროს. ჩვენს სემინარიაში უადგილობის გამო ჩვენი შვილები,—ასე გასინჯეთ ციმბირის სემინარიებშიაც-კი მიდიან შესასვლელად, გარნა,—დახეთ უიღბლობას და უღონობას,—იქიდგანაც-კი უფრო ხშირად გაწბილებულ ყმაწვილებს ცრემლმორეულად უკანვე გვიბრუნებენ! ქუთაისის სემინარიაში 210 შეგირდი-კი არა, 300 უნდა იყოს, რომ ბინა ვარგოდეს, მარა სად არი საქმის პატრონი?! რომ სემინარია თავის შენობას მოესწრობოდეს, ეს რიცხვიც (300) გაორკეცდება. იმერეთის სამღვდელობამ უნდა იშუამდგომლოს, საცა ჯერ არს, რათა ტფილისის სემინარიაში დაუბრკოლებლად იღებდნენ ქუთაისის გუბერნიის სამღვდელოების შვილებს იმ დრომდე მაინც, სანამ ქუთაისის სასულიერო სემინარიას საკუთარი შესაფერი შენობა არა აქვს. ჩვენ ვერ მიმხვდარვართ, რა საფუძვლით ეუბნებიან ტფილისში იმერლებს: დლია ვას ნეტ ვაკანსიი-ო. განა იმერლები, მეგრელები და გურულები ქართველები არ არიან? საჭიროა ქართლ-კახეთის სამღვდელოებამაც მიაქციოს ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება და იქონიოს მსჯელობა თავის ყრილობაზე ამის შესახებ.—

უკეთუ მაინც და მაინც არ დაიშლიან „სამყოფის სიდიდის ეკკლესიის" აშენებას მისი მომხრენი, ამ შემთხვევაში იგი უნდა მიშენდეს თითონ სასწავლებლის ახლანდელ სახლს აბრამიშვილის საზღვარზე. აქეთკენ სასწავლებლის სახლი ძლიერ დაზიანებული და საშიშარ მდგომარეობაშია. მიწის ძრის დროს შეიძლება ვერ შეიკავოს თავი. ახალი შენობა ძველს ზურგს გაუმაგრებს და ესაც ძვირად ეღირება. ამ შენობას არ მოუნდება დიდი თანხა. ორ-სართულიანი საავადმყოფო სახლი დაუჯდა სამღვდელოებას 4200 მანეთად. ამის ერთ ნახევარი რომ იქნეს ახალი შენობა, „სამყოფის სიდიდის ეკკლესია" გამოვა. საავადმყოფო სახლი აგებულია ერის კაცის შვილებისაგან შემოსულ ფულით. ამავე წყაროდგან უნდა აშენდეს მომავალი ეკკლესიაც. თუმცა ამ ფულის შემოსავლის რაოდენობა ახლა შესუსტებულია, მაგრამ მაინც საკმარისია, რომ ეს ხარჯი დაჰფაროს რამოდენისამე წლის განმავლობაში.

პატივცემული ა. გ. ქუთაისის სასულიერო

(გვ. 278).

„ძლევა მისი იყო ულუმპიანი და თანაბარი ალექსანდრე მაკედონელის მიერ დარიოზის ძლევისა" (გვ. 308).

„მეორე სოლომონ იქმნა მეფეთა შორის" (გვ. 337).

ქვემორე მოთხრობილია თამარის „ყოვლისა მამაცობისა მიმართ სიმარჯვენი, ოდესმე რაინდობანი" (გვ. 284).

თამარ-დავითის „აბდულ მესიობის" საბუთი კიდევ ის არის, რომ მათ არა თუ მარტო ჩახრუხაძე სთვლის „შემწედ, შემდეგად მესიისა", არამედ თვით ქართული ფულიც არაბულის ზედ-წარწერით. „შემწე", „შემდეგი" ხომ იგივე „აბდულია" (მონა).

აი თვით ეს წარწერებიც:

ა. თამარის მამის ფულს აწერია:

მეფეთ მეფე
გიორგი, ძე დიმიტრისა
მახვილი მესიისა.

ბ. თამარის და დავითისას:

თამარ-დავით (ქართულად),

არაბულად:

დედოფალი მაღალ ხარისხოვანი,
დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა,
თამარ, ასული გიორგისა,
შემდეგი მესიისა,
ღმერთმან ადიდოს ძლევანი მისნი.

გ. ლაშა-გიორგისას.

მეფეთ მეფე
დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა,
გიორგი, ძე თამარისა,
მახვილი მესიისა.

დ. რუსუდანისას:

დედოფალი დედოფალთა.
დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა,
თანაშემწე მესიისა.

ჩახრუხაძე სწერს (ტ. 82):

ზენათ ცხებული,
გმირი ცხებული
მჯობი ყოვლისა
მხნეთა მამისად
. . . .
შემწედ მესიას
აღნათქვამისად.

დავით აღმაშენებლის ფულს აწერია: ზოგს „დავით აღმაშენებელი რანთა და ტაონთა", ზოგს: „დავით კეისარი აფხაზთა და ქართველთა", ზოგს (მარრის თხზ., გვ. 24) „მახვილი ქრისტესი".

თვით „შესხმის" შინაარსის მოთხრობით უმეტესად მტკიცდება ის, რომ შექების საგანია ორი, ერთს ტახტზე მჯდომი, არსება. ვიდრე მოვიყვანდეთ ამ **ერთეულის** ლექსის მოკლე შინაარსს, საჭიროდ ვსთვლით მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ორიოდ ტაეპს, რომელნიც განუმარტავს ნ. მარრს.

მეხუთე ტაეპი მარრს ასრე **გაუსწორებია**:

ესე მისითა!
ე სემი სითა—
კურთხევით უფლებს
ძალთა შემწედა?
აქა მით მორჩი.
ა ქამით მორჩი.

და სთარგმნის: „Онъ (Давидъ) (царствуетъ) вслѣдствіе этого (обѣта), такъ гдѣ царствуетъ благословенный сынъ, вспомоществуемый (небесными) силами? Здѣсь отъ него отпрыскъ! Вотъ, при его помощи ты спасешься отъ Хама"...

მეხუთე ტაეპში-კი ნათქვამია:

დავითს ეფუცა უფალიო, რომ შენს ნაშობს დავსვამ მსაჯულად საყდართა ზედაო და ამ მცნების მიხედვით (ესე მისითა) ესეც (ესე მისითა) კურთხევით უფლებს ძალთა შემწედო და აქ (საქართველოში) დავითის ნაშობი (მით მორჩი) დავითი განერინე (მორჩი) დიდს ბოროტს (სატუხელს), აქ და არა სადმე სხვაგანო (გარეთთ).

არც **სემი** სჩანს და არც **ქამი**!

მე-26 ტაეპის მეორე მუხლი იმავე ავასონს ასრე **გაუსწორებია**:

ტურფა სახითა,
ცხოველადსა ხითა
მოყმე, მხნე, უხვი
დაიბადენი.

და სთარგმნის: „Прекрасный образъ! Ты родился отъ живого древа (благословеннаго рода) витяземъ храбрымъ и щедрымъ".

დედანშია (ჩუბინაშვილის 1863 წ. გამოცემაში):

ხარ უკვდავება,
ვით უკვდავება,
რაც ძალ-მიძს ქებად
ვიწყო მწადენი:
ტურფა სახითა,
ცხოველად სახითა,
მოყმე მხნე, უხვი
დაიბადენი.

შესმენილი „დაიბადენი" მოითხოვს ითქვას „ცხოველად სახითა" ანუ, თუ გნებავთ, „ცხოველადის ხითა" და არა **ცხოველადსა ხითა**, როგორც ასწორებს მარრი. თვით თარგმანიც ასრე უნდა შეიცვალოს: „Съ прелестнымъ лицомъ, живымъ образомъ ты, воинъ храбрый, щедрый родился".

გაუსწორებია:

აწ ამე თავსა!
აწამე თავსა
ღვაწლი, ვინ უწყის,
თუ რაოდენი?

სთარგმნის: „Теперь ты наслаждайся, ибо ты совершилъ много подвиговъ (букв. кто можетъ знать, сколько ты выстрадалъ трудовъ?)".

დედანშია (ტ. 26):

აწა მეთავსა:
აწამე თავსა
ღვაწლი, ვინ უწყის,
თუ რაოდენი.

„Теперь я понялъ: кто вѣдаетъ, сколько подвиговъ ты совершилъ!"

გაუსწორებია და სთარგმნის:

ექმენ სახმილად:
იყვნეს ახმილად
მზირნი ფარულად
შორს ქალაქთაგან.

„Ты сдѣлался печью (для уничтоженія): тайные соглядатаи изъ дальнихъ городовъ открыты".

ახმილად წარმოსდგება ზმნისაგან ახმა, რომელიც ნიშნავს **გაღებას**. „მზირთა" **გაღება** როგორ იქნება!? რუსულად-კი სწორეა, რადგან **ახმა** მათებურად ითარგმნება ზმნით „открыть", რომელიც **კარის გაღებასაც** ნიშნავს და მზირთა **შემჩნევასაც**.

დედანში ასრეა:

„ექმენ სახმილად,
იყვნეს სახმილად
მზირნი ფარულად
შორს ქალაქთაგან,
მწარედ ლმობილნი,
ეგრეთ ცნობილნი
ულონო იქმნეს
თვისთა სულთაგან".

დასაწველად გაუხდიო იმათ, რომელნიც საყარაულოდ, დასაზვერავად ფარულად მოსულიყვნენ შორ-ქალაქებიდგან, იგინი მწარედ დაისაჯნენო, რომ შემჩნეულ იქმნენო და სულს გამოეთხოვნენო.

გაუსწორებია:

იმ ალვისა ხედ
იმ ალვი სახედ,
მჭვრეტთა შემწველყოფ
მით მოტყინარედ,
კვლავ ეს ხეული
არე სხეული
ლმობით პატიჟად
ექმნების მწარედ.

უთარგმნია: „Ты подобенъ хваленому (букв.: тому) тополю, если скрываешь свой образъ, то ты зажигаешь огонь (томленія въ душѣ) видѣвшихъ тебя, когда затѣмъ показываешь (букв.: водишь) твои (букв.: тѣ) тополевыя формы, то это становится (причиной) горькихъ страданій (для видящихъ).

უნდა იყოს:

იმალვი სახედ (=სახლად),
იმალვი სახედ (სახე, სახედ)
მჭვრეტთა შემწველ ჰყოფ
მით მოტყინარედ.
კვლავვე სხეული,
არეს ხეული,
ლმობით პატიჟად
ექმნების მწარედ.

სახედ იმალებიო სახლად და შენის ჰვრეტის მსურველთ მოტყინარე (ფრიად აუტანელს) ცეცხლს უდებო, ხოლო კვლავ არეს რომ გამოდიხარ, ისევ მწარე პატიჟად უხდები მათო.

გაუსწორებია:

მისცა ყოველი
—არათუ ყო ველი!—
თვით მისმიერვე
დაემონოდეს.

თარგმანი: „Онъ (Богъ) далъ (Адаму) землю всецѣло—не дѣлилъ ея! чтобы Она была ему покорна съ Его велѣнія".

უნდა იყოს:

მისცა ყოველი,
არათუ ყოველი:
—თვით მისმიერვე
დაემონოდეს—,
უბრძანა:, ხისა
კეთილსახისა
დაცვად ნაყოფი,
ჰამად აროდეს.

ყოველივე მისცაო (ადამს) და არც ყოვე-

სასწავლებლის „უკან არ ჩამორჩენით“ გვანუგეშებს. მაგრამ ეგ არა კმარა. საჭიროა მეტი ფხა, წინ სვლა. იმერეთის სამღვდელოება დღემდის არას იშურებდა თავის სასწავლებლისათვის, კანს იფცქვნიდა და მას აწებებდა, მით თავი მოჰქონდა და ამაყობდა. ხსენებულ სასწავლებელს „უკან არ ჩამორჩენაზე“ უკეთესი დღენი უნახავს. თუ არა გჯერათ, გადაშალეთ კ. პ. პობედონოსცევის 1882 წლის უქვეშევრდომილესი ანგარიში, სადაც ამოიკითხავთ, რომ ტფილისის და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლები საეგზარხოსოში ყოვლის მხრივ სხვებზე წინა სდგანანო. სასწავლებლის ძალად ჭირისუფლები არც მაშინ იყვნენ მისი მდგომარეობით კმაყოფილნი და თავის უთავბოლო კორრესპონდენციებში ათას წუნს სდებდნენ.

მიუხედავად ზემორე ნათქვამისა, ჩვენ მადლიერნი ვართ ბ-ნ ა. გ—ისა სას. სასწ. შესახებ ხმის ამოღებისათვის გაზეთში.

ლელვნარელი.

თეატრი და ხელოვნება

ოზურგეთი. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ამ ქალაქში ადგილობრივ მსახიობებმა წარმოდგენის მართვა დაიწყეს. ხალხი ბლომად ესწრებოდა. მას აქეთ, თითქმის ყოველ კვირას, თუ თვეში ერთხელ მაინც, განუწყვეტლივ ჰმართავდნენ წარმოდგენებს. მხოლოდ წრეულს ზაფხულში აუქციეს გვერდი ამ კეთილს საქმეს და გაიხიზნენ შორს. რა იყო ამის მიზეზი? მათ რომ ჰკითხოთ, გიპასუხებენ, სათეატრო სახლი არა გვაქვსო. ვერაფერი თავის გასამართლებელი საბუთია. მართალია, შენობა არ არის, მაგრამ ხომ არც აქამდის ყოფილა და წარმოდგენებს-კი ჰმართავდნენ! თუ ჩვენს არტისტებს უნდათ შრომა ქვეყნისთვის, საწარმოდგენო სახლსაც ადვილად იშოვიან. უწინდელი ბერძნები, ხშირად, წარმოდგენებს ჰმართავდნენ ჩრდილოვან ხეებ ქვეშ და ჩვენ რა დაგვემართა, რომ ოზურგეთელ სახლებსაც ვწუნობთ.

ალ. ჟ—იანი.

დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 ივლისი.

ლიბავა. კომერციული სასწავლებლის ახალი შენობის ასაგებად საბირჟო კომიტეტმა გადასდო 175,000 მან. პროექტი წარდგენილია ფინანსთა სამინისტროში დასამტკიცებლად.

ლონდონი. გათენებისას ზარბაზნების სროლამ აუწყა ყველას, რომ გვირგვინის კურთხევის დღე დაიწყო. ტოუერიდგან ორმოცდა ერთჯერ დასცალეს ზარბაზანი, ჰაიდ პარკში—21. გუშინ საღამოს ვესტენდში გაჩირაღდნებული იყო შენობები; ქუჩებში აურებელი ხალხი დადიოდა. ბუკინ-ჰამის სასახლის წინ ხალხი საერო საგალობელს გალობდა. ბევრმა ქუჩაში გაათენა, სადაც პროცესია გაივლის. დილით ვესტენდში 6,000 ჯარის-კაცი მოვიდა; სულ ყველა ჯარებიდგან 27,000 კაცი შეიყარა.

მოსკოვი. ინგლისელების ეკკლესიაში სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადეს, რომელსაც კონსულები დაესწრნენ. ინგლისელების კოლონიამ მეფე ედუარდს დეპეშა გაუგზავნა. კოლონია საღამოთი დიდ დღესასწაულს იხდის.

ლონდონი. 11 საათზედ მეფე-დედოფალი, რომელთაც ხალხი ალტაცებით ეგებებოდა, ბუკინჰამის სასახლიდგან ვესტმინსტერის ეკკლესიაში გაემგზავრნენ გვირგვინის საკურთხად.

ლონდონი. დილის მეთერთმეტე საათზე ინგლისის სამეფო სახლის წევრები და იმათი ნათესავი უცხოელი პრინცები და პრინცესები ბუკინჰემის სასახლიდგან რვა ეტლით წავიდნენ გვირგვინის კურთხევაზე. უელსის პრინცს და პრინცესას ხალხი ალტაცებით ეგებებოდა.

ლონდონი. გვირგვინის კურთხევა მოხდა 12 საათსა და 40 წუთზე. წესის შესრულების დროს კითხვებზე მეფე მაღალის ხმით უპასუხებდა, ასე რომ მთელს ტაძარში ისმოდა. როდესაც გვირგვინის კურთხევა გათავდა, ყველანი ფეხზე წამოდგნენ და შესძახეს „ღმერთი ჰფარვიდეს მეფესა და დედოფალს“. საეკკლესიო ღვთის მსახურება პირველ საათზე დასრულდა.

ლონდონი. კენტერბერის არქიეპისკოპოსს, რომელსაც მეტის აღელვებისაგან ხმა უკანკალებდა, ეტყობოდა გული მისდიოდა. როდესაც მეფეს გვირგვინი დაადგა თავზე, ის იძულებული შეიქმნა იორკის არქიეპისკოპოსის და ორი სხვა ეპისკოპოსის შემწეობით გასულიყო გულის მოსაბრუნებლად. როდესაც გული დაიმშვიდა, ცერემონიის გათავებაც შესძლო.

პეტერბურგი. 27 ივლისს ხელმწიფე იმპერატორი პეტერგოფში დაბრუნდა.

დღეს, მეფე ედუარდის გვირგვინის კურთხევის გამო, ინგლისელების ეკკლესიაში სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადეს.

28 ივლისი

პეტერბურგი. უმაღლესი რესკრიპტი მისის იმპერატორებით უმაღლესობის ფლოტის მთავარ-უფროსის გენერალ-ადმირალის ალექსი ალექსანდრეს ძის მიმართ: „თქვენო იმპერატორებითო უმაღლესობავ, დღეს გათავდა სამოსწავლო არტილერიის რაზმის მიერ სროლის ვარჯიშობა, რომელსაც დავესწარ მე და ჩემი უავგუსტოესი სტუმარი გერმანიის იმპერატორი. ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის წარმატების ნახვა რაზმისა, რომელიც გამოცდილი და ენერგიული ფლაგმანის ხელ-მძღვანელობით იწვრთნებოდა. ვიცი, რომ ამისათვის მთელი რაზმის მძიმე და დაუღალავი შრომა იყო საჭირო. მოხარული ვარ, რომ მე თვითონ ვნახე იმათი ერთგული და მუყაითი შრომა ფლოტის არსებითი საჭიროების—სროლის—საქმეში. სიამოვნებით გიცხადებთ, თქვენო იმპერატორებითო უმაღლესობავ, როგორც ჩვენის საზღვაო ძალთა უფროსს, ხელმძღვანელს და ჩემს წინაშე პასუხის მგებელს იმათ მომზადებაში—ჩემს გულითადს მადლობას, იმ ღრმა ზნეობრივ სიამოვნებისათვის, რომელიც მე ვიგრძენ ამ სამი დღის განმავლობაში ჩემს მეზღვაურთა შორის, რეველის ნავთსადგურში. დავშთები სამარადისოდ თქვენი კეთილის მსურველი“. ნამდვილზედ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის საკუთარი ხელით დაწერილია „თქვენი გულწრფელად მოყვარული ძმისწული ნიკოლოზი“.

ოდესაში 9-დგან 20 ივლისამდე აღარავინ გამხდარა შავი ჭირით ავად. ხუთი კაცი, რომელიც 9 ივლისამდე გახდა ავად, მორჩა. 20-სა და 21 ივლისს ქალაქის საავადმყოფოში კიდევ მოიყვანეს 2 ავადმყოფი, ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელნიც მაშინვე ცალკე მოათავსეს; ჩერნომორსკის მაზრის სოფელს აკსაიში, ასტრახანის გუბერნიისა, 15 ივლისიდგან აღარავინ გამხდარა ავად. 28 ავადმყოფისაგან 16 მოკვდა, სრულიად მორჩა ერთი და დარჩა ავადმყოფი თერთმეტი, რომელთაგან 9 მალე მორჩება.

ადესა. 27 ივლისს დაიხურა ოდონტოლოგიური კრება, რომელმაც განიხილა ოცდა-ათამდე სპეციალური მოხსენება, დაადგინა ურთიერთ დამხმარებელი, პენსიის და სამარხი კასის დაარსება და გადასწყვიტა შემდეგი მეოთხე კრება მოხდეს 1905 წ. პეტერბურგში.

ინგლისის კოლონიამ დაიწყო მეფის ედუარდის დაგვირგვინების დღესასწაული.

ნოვოროსიისკი. გაიხსნა საფრანგეთის მხატვრობის სურათების გამოფენა.

სესტრორეცკი. სად. „კურორტზე“ გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

ლონდონი. დილის 10 საათზე ვესტმინსტერის ტაძარი გასაკვირველათ იყო მოწყობილი. 11 საათზე ტახტთან ადგილები დაიჭირეს წარჩინებულთ: ჰერცოგს დევონშირისას ეჭირა გვირგვინი, მარკიზს ლონდონდერის—მახვილი; დედოფალი დაბრძანდა თავის ტახტზე და მიესალმნენ „vivat regina Alexandra“-ს ძახილით. მუსიკის დაკვრამ მეფის მობრძანება აუწყა: ყველა დამსწრენი მიეგებნენ „vivat rex Eduardus“ ძახილით. მეფეს წამოსხმული ჰქონდა სამეფო მოსასხური; მივიდა ტახტის წინ მომზადებულ ალავს, თავი დაუკრა დედოფალს და დაიჩოქა სალოცავად; ილოცა და ეზიარა. მღვდელ-მსახურების დროს მეფე პასუხს აძლევდა მკაფიოდ და ხმა მაღლა, და ხელი მოაწერა ფიცის ქაღალდს.

ლონდონი. წმიდა საიდუმლოს მიღების დროს მეფემ მუხლი მოიდრიკა; მირონ-ცხებულმა და სახელმწიფო მახვილით აღჭურვილმა, მიიღო სამეფო უფლებათა ნიშანნი. მეფემ მშვენივრად აიტანა გვირგვინის კურთხევის წესი, დაღალულობა სრულიად არ ეტყობოდა და თავს მშვენივრად ჰგრძნობდა.

ლონდონი. მეფე და დედოფალი 2 საათზე განშორდნენ ტაძარს; აურებელი ხალხი აღლაცებით ეგებებოდა მათ.

ლონდონი. დილიდანვე განუსაზღვრელი მხიარულება გამეფდა. ყოველის მხრიდგან ისმოდა ზარების რეკა. ქუჩებზე ბევრად მეტმა ბრბომ შეიყარა თავი, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ალტაცება იმდენად ძლიერია, რომ ორ ადგილას ბრბომ გაარღვია მხედართ რაზმი, რათა უფრო კარგად დაენახა მეფე. სასახლის წინ გაჩერებულმა საზოგადოებამ იმათ უდიდებულესობის დაბრუნების შემდეგ ისეთი მანიფესტაცია მოახდინა, რომ მეფე და დედოფალი აივანზედ გამოვიდნენ, სადაც ალტაცებით ულოცავდა ხალხი.

პეტერბურგის ბირჟა, 26 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,65
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96⅞ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	463 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	353 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	287¾ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88⅞ გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4,375 გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 30 ივლისისათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ბართლომე ქუთათელაძისა და თავ. ივანე წულუკიძის დავა 100 მანეთ ზარალზედ.
2. არონ ჯიჯელხაშვილის და ზაქარია მინდიაშვილის ცხენის შესახებ 23 მანეთზედ.
3. ჩაქტო ანთიასი და კოსტა მესხის დავა 60 მანეთზედ.
4. ბახვა ჯანჯღავასი და პუპი მიქელაძის დავა 75 მანეთზედ.
5. ბახვა ჯანჯღავასი და ალექსანდრე ჩაჩიბაიას დავა თ. პუპი მიქელაძესთან ერთად და სხვ. 69 მან. 11 კაპეიკზედ.
6. ნიკოლოზ ზაალოვისა და მიხეილ ნონიევისა და სხვ. დავა 1063 მანეთზედ.
7. იაკობ გოკიელოვისა და პლატონ ფეტისოვის დავა სამუშაოს ფულზედ.
8. მალხაზა დარასელიასი და ბესარიონ მოდუას დავა 66 მანეთზედ.

ლი: რომ მორჩილებაში ჰყოლოდა, უბრძანა ერთის ლამაზის ხის ნაყოფის არ მიკარება (დაცვა), არ ჭამა.

გაუსწორებია:

ხმობს ღმერც *) ხალისად:
ა მერცხალისად
ხმა ტკბილმხმობარედ,
იადონისად.

სთარგმნის: „Взываетъ онъ къ Богу съ чистою душою, вотъ какъ ласточка, какъ сладко поющій соловей“.

უნდა იყოს (ტ. 7):

ჰხმობს მერცხალისად,
ამ მერცხალისად—
ხმა-ტკბილ მხმობარედ
იადონისად.

თვით ჩახრუხაძის ლექსების ახსნაშიაც ჩვენ არ ვეთანხმებით ნ. მარრს ზოგიერთგან.

გაუსწორებია:

მან გლისპი რითა?
მანგლის პირითა
ოდენ მუნით ჰყო
მეოტებარე.

„Онъ (Давидъ) чѣмъ (гналъ) строптиваго? Лезвіемъ только серпа обратилъ его оттуда въ бѣгство“.

აქ (მე 32 ტაეპში) არავითარი **გლისპი** არ არის, არამედ პოეტს ჰსურს მხოლოდ აღნიშნოს, რომ მეფემ მტერი დაირეკა მანგლისგარნისის პირიდამაო, „ოდენ **მუნით** (საიდგან?) ჰყო მეოტებარე“ და დაიპყრო რანი, ერანი, ამბერდი, რასაც მოგვითხრობს ქ. ცხოვრებაც.

აი თვით ეს ადგილი:

ოს-დიდმან დავით,
ოს-დიდმან დავით (ბრძოლით)
ფარეზ შემუსრა
წინა-მგებარე;
მანგლის პირითა (ნამგლის პირით)
მანგლის პირითა (მანგლისის პირით)
ოდენ მუნით ჰყო
მეოტებარე.
შენ მისნი ერნი,
შენ მისნიერნი
გარნისს მომისხმნა!
მით მე მქებარე...
წაუღე რანი,
წაუღ ერანი,
ყელსა დასახენ
ჩამომდებარე...
მიუშვენ ოდეს (ოდეს ჯარს ნება მიეც),
მიუშვენოდეს
ამბერდად, რად ვთქვენე
იგი მე ბარე?!

(შემდეგი იქნება)

მ. ჯანაშვილი.

---

*) დედანში მერცხალისად სწერია.

განცხადება

ჰსურთ იყიდონ ანუ იჯარით აიღონ 20—30 დესეტინა სარწყავი სახნავი მიწა რკინის გზის სადგურის მახლობლად. ცნობისათვის მიჰმართონ „ივერიის“ რედაქციას მიმდინარე წლის 15 აგვისტომდე.

(3—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ საჭიროა პოლიციის მე-4 უბანში სოლოლაკის სამოქალაქო პირველ-დაწყებით სასწავლებლისათვის სახლი სამზარეულოთი, შეშის საწყობითა და ეზოთი არა ნაკლებ 8 ოთახისა; მათ შორის 3 ოთახი უნდა იქმნეს დიდი, ნათელი, სიგრძით 9 და სიგანით 10½ ალაბი, ან-და სიგრძით 13 ალაბი და 9 გოჯი და სიგანით 7½ ალაბი; სიმაღლე ოთახებისა უნდა იქმნეს არა ნაკლებ 4 ალაბისა და 14 გოჯისა. (3—6.—2)

Открыта подписка на ежедневную (не исключая понедѣльниковъ) газету политической и общественной жизни и литературы

„Бакинскія Извѣстія“

Программа газеты: Дѣйствія и распоряженія Правительства; Телеграммы; Общія статьи по разнымъ вопросамъ; Хроника мѣстная; общая и иностранная; Корреспонденціи; Обзоръ печати; Фельетоны; Судебный отдѣлъ; Нефтяное и горное дѣло; Смѣсь; Справочный указатель.

Подписная цѣна: по 1-ое Января 1903 г. съ доставкою въ Баку и пересылкою въ другіе города—3 р., на 3 мѣсяца 2 р. и на одинъ мѣсяцъ 1 руб.

Такса за объявленія: За строку петита или мѣсто занимаемое ею впереди текста—10 к., а позади текста—7 к. Многократныхъ объявленій по соглашенію.

Редакція и контора изданія: пассажъ Шагиданова. Первый номеръ выйдетъ въ свѣтъ четвертаго августа.

Редакторъ-издатель
Н. А. Гриневъ.

(3—უ—ı)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хахановъ в. Ш.	3	»
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгіи XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	»
მეცნიერებისათვის წამებულნი სურათებით, თარგმანი ა. ნიკოლაძისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ზ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, ზოგმე ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენება ს. ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
ჰაწია და ბუნკლია სურათებით თარგმანი დ. ჰავლიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50

სოლოლაკში, სერგიევის ქუჩაზე, მირზოევის სახლებში № 1, გაიხსნა

ახალი სტამბა
ძმათა თავართქილაძეებისა,

რომელიც დაიწყებს მოქმედებას აგვისტოს პირველიდგან.

მიიღება საბეჭდავი საქმეები ყველა ენებზედ. სტამბა შემოკვეთილ საქმეებს ასრულებს

სწრაფად და თავის დროზედ.

ამ სტამბასთან იქმნება უმთავრესი საწყობი საკუთარ გამოცემათა.

ვისაც ჩვენ ფირმასთან საქმე აქვს, ან ექმნება, ვთხოვთ დღეიდგან მოგვმართონ ტფილისის ადრესით: Тифлисъ, бр. Таварткиладзе.

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუხგალტერო კურსები
ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბუღდავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

ს წ ა ვ ლ ე ბ ი ს ს ა გ ნ ე ბ ი:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხგალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთმრეწველობის დარგის** [illegible] **უმ-ლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა (კორესპონდენცია).** 4) **სავექსილო და სავაჭრო მართლწესობა.** 5) **კალიგრაფია და გასწორება ხელ ცუდად ხელისაწერი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვის შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველ-დღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთელ კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დამწყებლოთ მოწმობა, ზეპირ-ცხრილები წერილებაზე ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველნი ესწრობოდ მიმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნება. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსულს ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასი 3 მან. 50 კაპ. (25—379—9)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.